

შპს „ვილა რეტა“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-15


შპს ვილა რეტა
სრული შემოსავლის ანგარიშგება
ერთეულ ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები გაყიდვებიდან	5	184,746	248,181
სხვა შემოსავლები		-	2,922
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(34,447)	(72,628)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის		(75,847)	(121,556)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(47,683)	(99,984)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(81,308)	(86,007)
საოპერაციო ზარალი		(54,539)	(129,072)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	9	(21,025)	(90,618)
კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(354,021)	(201,719)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		21,849	-
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(407,736)	(421,409)
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		(407,736)	(421,409)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 სექტემბერს.


გენერალური დირექტორი
რევაზ ხონელიძე




მთავარი ბუღალტერი
ირა ზლაგიძე

შპს ვილა რეტა
სრული შემოსავლის ანგარიშგება
ერთეულ ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები გაყიდვებიდან	5	184,746	248,181
სხვა შემოსავლები		-	2,922
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(34,447)	(72,628)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის		(75,847)	(121,556)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(47,683)	(99,984)
ცვეთა და ამორტიზაცია	8	(81,308)	(86,007)
საოპერაციო ზარალი		(54,539)	(129,072)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	9	(21,025)	(90,618)
კურსთა შორისი სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		(354,021)	(201,719)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		21,849	-
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(407,736)	(421,409)
მოგების გადასახადი		-	-
წლის ზარალი		(407,736)	(421,409)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 20 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი
რევაზ ხონელიძე

მთავარი ბუღალტერი
ირა ზლაგიძე

თანდართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ვილა რეტა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ერთეულ ლარში

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,499,698	1,582,476
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,499,698	1,582,476
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	28,872	38,015
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		25,160	23,451
საგადასახადო აქტივი, წმინდა		15,482	11,476
გადახდილი ავანსები		4,046	3,880
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	27,791	16,375
სულ მიმდინარე აქტივები		101,351	93,197
სულ აქტივები		1,601,049	1,675,673
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		2,105,039	892,000
დაუფარავი ზარალი		(2,701,103)	(2,293,367)
სულ საკუთარი კაპიტალი		(596,064)	(1,401,367)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	2,184,554	3,038,931
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,184,554	3,038,931
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		7,998	23,977
მიღებული ავანსები		4,561	14,132
სულ მიმდინარე ვალდებულებები		12,559	38,109
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,601,049	1,675,673

თანდართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ვილა რეტა
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
ერთეულ ლარში

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	215,059	404,695
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(102,825)	(164,787)
გადასახადები, გადახდილი მოგების გადასახადის გარდა	(17,937)	(43,803)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(63,385)	(172,775)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(843)	(195)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	30,069	23,135
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,289)	(46,090)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,289)	(46,090)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა	-	(86,997)
გადახდილი პროცენტები	(16,395)	(17,441)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(16,395)	(104,438)
 სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	31	157
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა,/(კლება)	11,416	(127,236)
 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	16,375	143,611
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	27,791	16,375

შპს ვილა რეტა
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ერთეულ ლარში

	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი/გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	892,000	(2,110,035)	(1,218,035)
კაპიტალური შენატანი	-	-	-
წლის მოგება	-	238,077	238,077
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	892,000	(1,871,958)	(979,958)
კაპიტალური შენატანი	-	-	-
წლის ზარალი	-	(421,409)	(421,409)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	892,000	(2,293,367)	(1,401,367)
კაპიტალური შენატანი	1 213 039	-	1 213 039
წლის ზარალი	-	(407,736)	(407,736)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,105,039	(2,701,103)	(596,064)

თანდართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ვილა რეტა“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2007 წლის 14 სექტემბრიდან, სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ (საიდენტიფიკაციო ნომერი 233732805). კომპანიის რეგისტრირებული ოფისი გახლავთ მისამართზე: სოფ. გრიგოლეთი, ლანჩხუთის რაიონი საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების გაწევა დამსვენებელთათვის და ასევე ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი პირთათვის, ინვესტორთათვის, რომლებიც საქმიანი ვიზიტებით სტუმრობენ აღნიშნულ რეგიონს.

კომპანიის აქციონერები გახლავთ ფიზიკური პირი რევაზ ხონელიძე (01025011355) ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია - აქციების 50%-ის მფლობელი და ფიზიკური პირი ტატიანა პოსტნოვა (721333776, 01017044082) რუსეთის ფედერაცია - დარჩენილი 50% წილის მფლობელი.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ერთეულამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

მიუხედავად 2020 წელს შექმნილი სიტუაციისა, COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებით, რომელიც გრძელდება 2021 წელსაც კომპანია აგრძელებს ფუნქციონირებას. მიმდინარე პერიოდში ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივ მომხმარებლებზე, რამდენადაც ქვეყანაში შეზღუდულია ავია-მიმოსვლა და ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვნად შემცირებულია. გლობალური პანდემიის მიუხედავად, კომპანიის მენეჯმენტის აზრით მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლებზე, რადგან რიგი წამყვანი ქვეყნების მიერ ვაქცინის შემუშავებით და აცრის პოპულარიზაციით შექმნილია მყარი და პოზიტიური მოლოდინები პანდემიის დასრულებისა და ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენასთან დაკავშირებით, გარდა ზემოაღნიშნული ინფორმაციისა, ოპტიმისტური განწყობის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მსოფლიო ბანკი და USAID-ი საქართველოს ეკონომიკის 3,5% ზრდას პროგნოზირებენ ტურიზმის სექტორის გათვალისწინების გარეშე, ხოლო 5 % ზრდას ტურიზმის სექტორის გათვალისწინებით.

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ფუნქციონალური ვალუტის „სპოტ“ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

(ბ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯებს. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

მოწყობილობების, საოფისე აღჭურვილობისა და ინვენტარის სავარაუდო სასარგებლო სიცოცხლე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ქონების ძირითად კლასს, 1–3 წელია.

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარა

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(iii) აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

(გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი იქნა გაწეული.

„კომპანია“ აღიარებს არამატერიალურ აქტივებს, მხოლოდ მაშინ, თუ:

- ▶ სავარაუდოა, რომ მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, რომელიც მიეკუთვნება აქტივს, შემოვა საწარმოში;
- ▶ აქტივის ღირებულება ან ღირებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ;

(დ) იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ისე ოპერაციული იჯარები. ფინანსური იჯარა შედეგია, რომ მხარეებს შორის გადაეცემა საკუთრებაში არსებული ყველა რისკი და სარგებელი, მაშინ, როდესაც ოპერაციული იჯარის დროს - არა. „კომპანია“ აღრიცხავს საოპერაციო იჯარის გადასახადებს, როგორც ხარჯს, წრფივი მეთოდით.

(ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) სასაქონლო-მატერიალური მარაგები (გაგრძელება)

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

(ვ) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არა რეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად. ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას.

მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა ხარჯების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ზ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებულ საბანკო ანგარიშების და სალაროს ნაშთებს.

(თ) შემოსავლები

„კომპანია“ აღიარებს მომხმარებლებისგან მიღებულ შემოსავალს, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომელსაც „კომპანია“ ელოდება ამ საქონლის სანაცვლოდ.

„კომპანია“ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში, რადგან როგორც წესი, ის აკონტროლებს საქონელს მანამდე, სადამ ის გადაეცემა მომხმარებელს.

(ი) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

5. შემოსავალი გაყიდვებიდან

	2020	2019
შემოსავალი გაყიდვებიდან	184,746	248,181
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	184,746	248,181

შემოსავლები გაყიდვებიდან წარმოადგენს სასტუმრო, სარესტორნო და სხვა დამატებითი საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ შემოსავლებს. დამატებითი შემოსავლების სახეები მაგალითად: იჯარიდან მიღებული შემოსავლები, ბარის და სვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, სამრეცხაოს შემოსავლები და სხვა.

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	22,011
შესყიდვა	92,044
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(76,040)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	38,015
შესყიდვა	25,304
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(34,447)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28,872

2020 წლის განმავლობაში „კომპანია“-მ შეისყიდა პროდუქცია მისი ძირითად საქმიანობის წარმოებისათვის 25,304 ლარის ოდენობით (2019: 92,044 ლარი) და 34,447 ლარი აღიარებული იქნა როგორც გაყიდული საქონლის თვითღირებულების ხარჯი (2019: 76,040 ლარი).

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020	2019
კომუნალური ხარჯი	29,361	41,230
სამეურნეო ხარჯი	7,555	8,226
სხვა ხარჯი	2,773	9,830
ბანკის საკომისიო ხარჯი	2,047	2,704
კომუნიკაციის ხარჯი	1,794	2,719
რემონტის ხარჯი	1,175	14,487
დაცვის ხარჯი	1,062	1,373
საკონსულტაციო ხარჯი	1,000	2,300
საკანცელარიო ხარჯი	734	872
რეკლამის ხარჯი	182	1,380
ქონების გადასახადი ხარჯი	-	14,863
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	47,683	99,984

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

8. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მოწყობილობები მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
ღირებულება					
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	285,000	2,073,930	131,276	390,407	2,880,613
შემოსვლები			11,653	34,392	46,045
გასვლები					
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	285,000	2,073,930	142,929	424,799	2,926,658
შემოსვლები			98	2,191	2,289
გასვლები				(3,759)	(3,759)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	285,000	2,073,930	143,027	423,231	2,925,188
დაგროვებული ცვეთა					
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	826,652	107,450	324,073	1,258,175
დარიცხვა წლის განმავლობაში გასვლები		62,567	5,165	18,275	86,007
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	889,219	112,615	342,348	1,344,182
დარიცხვა წლის განმავლობაში გასვლები		59,236	6,065	16,007	81,308 0
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	948,455	118,680	358,355	1,425,490
წმინდა საბალანსო					
ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	285,000	1,184,711	30,314	82,451	1,582,476
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	285,000	1,125,475	24,347	64,876	1,499,698

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

9. ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები

	2020	2019
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი	21,025	90,618
სულ ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	21,025	90,618

კომპანიას გააჩნია გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, როგორც დამფუძნებლის ასევე საბანკო სასესხო ვალდებულება სს „თი-ბი-სი“ ბანკისგან. საბანკო კრედიტი აღებულია 2012 წელს ევროში 220,000 (ორას ოცი ათასი) ევროს ოდენობით, ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. კომპანიამ გააფორმა შეთანხმება, რის შედეგადაც სესხის ძირი თანხის დაფარვა გადავადებულია გრძელვადიან პერიოდში. დამფუძნებელთან აღებული სესხი არის თავისუფალი გრაფიკით. კომპანია ახორციელებს აღნიშნული სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვას თავისუფალი გრაფიკით. აღსანიშნავია, რომ საანგარიშგებო წლის დასაწყისში მოხდა დამფუძნებლის სესხის ძირი თანხის და ნაწილობრივ დარიცხული პროცენტის კაპიტალში შეტანა, რამაც გამოიწვია საპროცენტო ხარჯის მნიშვნელოვნად შემცირება.

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

	2020	2019
სესხი დამფუძნებლისგან	86,198	1,118,864
დარიცხული პროცენტი სესხი დამფუძნებლისგან	1,765,609	1,654,626
საბანკო კრედიტი	332,746	265,441
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,184,554	3,038,931

2020 წლის იანვარში დამფუძნებლების გადაწყვეტილებით მოხდა სესხის ძირი თანხისა და ნაწილობრივ დარიცხული პროცენტის კაპიტალში შეტანა, შესაბამისად სასესხო ვალდებულება შემცირდა მნიშვნელოვნად. საბანკო კრედიტის ცვლილება, რომელიც ნომინირებულია ევროში გამოწვეული მხოლოდ და მხოლოდ ვალუტის კურსის ცვლილებით. ვალუტაში საბანკო კრედიტის ნაშთი გახლავთ 82 704 ევრო. დამფუძნებლის სესხის ნაშთი, რომელიც ნომინირებულია რუსულ რუბლში ასევე დარჩა უცვლელი და შეადგინა 1,957,676 რუბლი.

შპს ვილა რეტა
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
ერთეულ ლარში

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები სალაროში	771	442
ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე	27,019	15,933
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	27,791	16,375

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოადგენს ფულად სახსრებს, რომელიც განთავსებულია ქართულ ბანკებში და სალაროში.

12. კაპიტალი

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გახლავთ შემდეგი:

ბ-ნი. რევაზ ხონელიძე	50%
ქ-ნი. ტატიანა პოსტნოვა	50%

13. სავაჭრო ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	7,998	23,977
სულ სავაჭრო ვალდებულებები	7,998	23,977

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას მომწოდებლებთან ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობებიდან გამომდინარე.

14. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

2021 წელს ქვეყანაში კვლავ გრძელდება გლობალური პანდემიის მიერ გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლა, აქტიურ ფაზაში შედის ვაქცინაციის პროცესი, გახსნილია ავია-მიმოსვლა რამაც ხელი შეუწყო 2021 წლის ტურისტული სეზონის მეტ-ნაკლები წარმატებით ჩატარებას. კომპანია 2020 წლის საანგარიშო წელში ამ ანგარიშგების შედგენის თარიღის მდგომარეობით იმყოფება ზარალზე. ზარალი ძირითადად გამოწვეულია ლარის კურსის დაცემის შედეგად სასესხო ვალდებულებების ნაშთების გადაფასებით. მთავრობის დადგენილებით მიღებულ იქნა ღონისძიებები გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეული ზარალის შესამცირებლად საგადასახადო შეღავათების კუთხით. კომპანია აგრძელებს სარგებლობას საგადასახადო შეღავათებით საშემოსავლო და ქონების გადასახადების ნაწილში.